



მოსკოვის საპატრიარქოს აფრიკის საეგზარქოსომ აფრიკულ ენებზე მართლმადიდებლური ლიტერატურა გამოსცა



სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 23.04.2024. „ნიკეის“ გამომცემლობის ხელმძღვანელის, ნ.იუ. ბრევეის ფინანსური მხარდაჭერით, მოსკოვის საპატრიარქოს აფრიკის საეგზარქოსომ გამოსცა მართლმადიდებლური ლიტერატურა აფრიკულ ენებზე, კერძოდ, სახარება მარკოზისგან წმინდა მამების განმარტებებით სუაჰილის ენაზე, წმინდა ნიკოლოზ სერბის მართლმადიდებლური კატეხიზმო ჩიჩევას ენაზე და კატეხიზმო ბავშვებისთვის ბემბას ენაზე.

სახარება მარკოზისგან სუაჰილის ენაზე თარგმნა არქიმანდრიტმა ზაქარიამ (მულინგვა). ტირაჟი აფრიკის საპატრიარქო ეგზარქოსმა, ზარაისკის მიტროპოლიტმა კონსტანტინემ ტანზანიის მორწმუნეებს თავისი **სამღვდელთმთავრო ვიზიტის** დროს გადასცა. ტირაჟის ნაწილი კი გადაეცა კენიას, – განაცხადა საეგზარქოსოს მისიონერული განყოფილების თავმჯდომარემ, მღვდელმა გიორგი მაქსიმოვმა.

წმინდა მღვდელთმთავარ ნიკოლოზ სერბის კატეხიზმო ჩიჩევას ენაზე თარგმნა საპატრიარქოს აფრიკის საეგზარქოსოს მღვდელმსახურმა, დიაკონმა საბა კაჯავამ. წიგნები რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლს მალავიში მიტროპოლიტმა კონსტანტინემ **დაურიგა**.

კატეხიზმო ბავშვებისათვის თარგმნა აფრიკის საეგზარქოსოს ზამბიის ეკლესიის კლირიკოსმა, მღვდელმა სილვესტერ მუმბიმ. წიგნები ეპისკოპოსმა კონსტანტინემ ზამბიელ მორწმუნეებს **გადასცა, – იუნყება** საპატრიარქოს აფრიკის საეგზარქოსოს საიტი.

„ეს წიგნები აქ ძალიან მნიშვნელოვანია და მორწმუნეები მათ კეთილკრძალულებით იღებენ, ვინაიდან ადგილობრივ ენებზე მართლმადიდებლური სარწმუნოების შესახებ წიგნები პრაქტიკულად არ არსებობს. მღვდლები და მათი თანამშენებელი ამ წიგნებს კატეხიზაციისთვის გამოიყენებენ“, – წერს მღვდელი გიორგი მაქსიმოვი თავის ტელეგრამ-არხზე.

წყარო: <https://mospat.ru/ge/news/91686/>